სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 22 თებერვალი, 2024
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე, მარიამ კუბლაშვილი, რაისა ლიპარტელიანი, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო გოტიაშვილის, დავით გოგსაძის და ბესიკ სხირტლაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო გოტიაშვილის, დავით გოგსაძის და ბესიკ სხირტლაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) დავით ჭარბაძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვთ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებით აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით ჭარბაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თეონა ფოფხაძის, ზურაბ ახალაძის, ნინო ფუტკარაძის, ლაშა აბაშიძის, ანა ვერძაძის და ბაქარ სირაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეონა ფოფხაძის, ზურაბ ახალაძის, ნინო ფუტკარაძის, ლაშა აბაშიძის, ანა ვერძაძის და ბაქარ სირაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ დავით ჭარბაძის, ნელი გოგინავას, მარიამ მეტრეველის, ნინო სესიტაშვილის, მიხეილ ლაპიაშვილის და **2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების** - ნათია მაჭარაშვილის, ნუგზარ კუპრეიშვილის, თეონა ბერუაშვილის, სალომე გიორგაძის და ზაზა თავაძის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2024 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით ჭარბაძის, ნელი გოგინავას, მარიამ მეტრეველის, ნინო სესიტაშვილის, მიხეილ ლაპიაშვილის და 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ნათია მაჭარაშვილის, ნუგზარ კუპრეიშვილის, თეონა ბერუაშვილის, სალომე გიორგაძის და

ზაზა თავაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევ კონკურსში, ადვოკატთა ასოციაციის წევრების წარდგინების შესახებ საკითხის განხილვა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს შეუვსებელ ვაკანსიაზე საპროკურორო საბჭოს წევრის ასარჩევად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპროკურორო საბჭო დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანოა, რომელიც შექმნილია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და მასში ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

“პროკურატურის შესახებ” კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, “ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევისათვის “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით და დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც: საპროკურორო საბჭოს კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევარებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და აღიარებულია როგორც სამართლის დარგის სპეციალისტი.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასოციაციას საპროკურორო საბჭოში წარსადგენად ნომინირებისთვის მომართა ასოციაციის წევრებმა: ამირან გიგუაშვილმა და ლევან

მახარაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ამირან გიგუაშვილი არის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში (საპარლამენტო მდივანი), ხოლო ლევან მახარაშვილი არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მათ აქვთ სათანადო გამოცდილება და პროფესიული კვალიფიკაცია, საპროკურორო საბჭოში წარმატებული საქმიანობის განსახორციელებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღმასრულებელმა საბჭომ მიზანშეწონილია იმსჯელოს იმ კანდიდატების თაობაზე, რომელსაც ასოციაცია წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრებად ასარჩევად.

წევრებმა აღნიშნეს, რომ საპროკურორო საბჭოში ასარჩევად ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების ნომინირება საჭირო პროცესია, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობა და რეფორმების გამჭვირვალედ განხორციელება. მსჯელობის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს 2 წევრის ასარჩევად ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან ნომინირებისათვის დასახელდა ადვოკატთა ასოციაციის წევრები ამირან გიგუშვილი და ლევან მახარაშვილი.

საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევი კანდიდატის წარდგენის საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. "პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტისა და "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: საქართველოს პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევად წარედგინოს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები - ამირან გიგუაშვილი (ადვოკატის სიითი N 3550) და ლევან მახარაშვილი (ადვოკატის სიითი N 5832).

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის მუდმივმოქმედი კომიტეტების უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის მუდმივმოქმედ კომიტეტებს, რომლებიც დამტკიცდა 2022 წლის 25 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, გაუვიდათ 2 წლიანი ვადა.

თავმჯდომარემ ასევე, წევრებს მიაწოდა ინფორმაცია რომ კომიტეტების შემადგენლობების განახლება მიმდინარეობს ეტაპობრივად, ასოციაციაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე. ამ ეტაპზე რიგი კომიტეტების შემადგენლობა სრულად არ არის

დაკომპლექტებული და ეტაპობრივად მიმდინარეობს კომიტეტების ახალი წევრების დამატება.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ ასოციაციის მუდმივმოქმედ კომიტეტებს გაგრძელებოდათ უფლებამოსილების ვადა დამატებით 2 წლის ვადით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ადვოკატთა ასოციაციის მუდმივმოქმედი კომიტეტების ვადა გაგრძელდეს 2 წლის ვადით.

საკითხი 6. შპს სქილკრაფტის ინსტიტუციური აკრედიტაციის შესახებ განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ შპს სქილკრაფტის ინსტიტუციური აკრედიტაციის შესახებ განცხადებას.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა აღნიშნული საკითხი განხილულიყო 2024 წლის 6 მარტის სხდომაზე, დამატებითი დოკუმენტების და დეტალების დაზუსტების შემდგომ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: შპს სქილკრაფტის ინსტიტუციური აკრედიტაციის შესახებ განაცხადის განხილვა გადაიდოს შემდგომ სხდომაზე.

საკითხი 7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ნიკოლოზ ბოლქვაძის, კობა ბარამიას, მარიკა ჟორდანიას და ეკა ინასარიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ნიკოლოზ ბოლქვაძის, კობა ბარამიას, მარიკა ჟორდანიას და ეკა ინასარიძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლევან ჭიღლაძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ლევან ჭიღლაძის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით, იგი გარდა ადვოკატის პროფესიისა არის ჟურნალისტიც და გამოთქვამს მზაობას იმუშაოს ჟურნალ „ჩემი ადვოკატი“-ს სარედაქციო გუნდთან ერთად.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა ლევან ჭიღლაძე არჩეულიყო ჟურნალ „ჩემი ადვოკატი“-ს სარედაქციო კოლეგიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატი ლევან ჭიღლაძე არჩეულ იქნეს ჟურნალ „ჩემი ადვოკატი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრად.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე